



ეკონომიკური და სოციალური საბჭო

შეუზღუდავი გავრცელებისთვის

ECE/MP.PP/2005/2/Add.2
20 ივნისი, 2005

ორიგინალი: ინგლისური

ევროპის ეკონომიკური კომისია

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების
მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და
ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე
ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის მხარეთა შეხვედრა

მხარეთა მეორე შეხვედრის ანგარიში

დანართი

გადაწყვეტილება II/1

გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები

დამტკიცებულია მხარეთა მეორე შეხვედრაზე
ქ. ალმაატა, ყაზახეთი, 2005 წლის 25-27 მაისი

მხარეთა შეხვედრა.

აღიარებს რა კონვენციის გავრცელების შემდგომი განვითარების მნიშვნელობას იმ გადაწყვეტილებებზე, ნებადართულ უნდა იქნეს თუ არა გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) განზრახ ინტროდუქცია, *inter alia*, კონვენციის მე-6 მუხლის მე-11 პუნქტში ასახულ დებულებებზე უფრო მეტად დაზუსტებული დებულებების გამოყენების გზით,

ეყრდნობა რა მის გადაწყვეტილებას I/4.

აცნობიერებს რა კონვენციის მხარეთა და ხელმომწერთა, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების, სხვადასხვა პრაქტიკულ აუცილებლობებს ეროვნული ბიოუსაფრთხოების ჩარჩოების შემუშავებისა და იმპლემენტაციისათვის, მათ შორის, საზოგადოების მონაწილეობისათვის უფრო მძლავრი დებულებების საჭიროებას,

აღიარებს რა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფორუმებთან თანამშრომლობის აუცილებლობას, განსაკუთრებით კარტახენას ბიოუსაფრთხოების ოქმის ფარგლებში, სინერგიის გაძლიერებისა და ორმაგი ძალისხმევის თავიდან აცილების მიზნით, *inter alia*, კონვენციისა და კარტახენას ოქმის სამდივნოებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და შემდგომი ურთიერთთანამშრომლობის წახალისების გზით,

მოუწოდებს რა კონვენციის ყველა მხარესა და ხელმომწერს კარტახენას ოქმის რატიფიცირების ან მიერთებისაკენ, რადგანაც ეს ქმნის ეროვნული ბიოუსაფრთხოების ჩარჩოს შემუშავების შესაძლებლობას, მათ შორის რისკების შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს საზოგადოების მონაწილეობით და ხელს უწყობს შესაძლებლობების განვითარების პროგრამებში მონაწილეობას, განსაკუთრებით გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა/გლობალური გარემოს დაცვის ფონდის შესაბამისი პროექტის კონტექსტში,

მიაჩნია რა, რომ მიუხედავად სხვა ფორუმებში განვითარებისა, ორჰუსის კონვენცია უზრუნველყოფს შესაბამის საერთაშორისო ჩარჩოს გმო-ს თაობაზე ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შემდგომი განვითარებისათვის,

მხარს უჭერს რა გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების თაობაზე ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ მის მიერ დამტკიცებული არასავალდებულო, ნებაყოფლობითი ხასიათის გზამკვლევების (MP.PP/2003/3) გამოყენების გაგრძელებას,

აღნიშნავს რა გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების თაობაზე სამუშაო ჯგუფის საქმიანობასა და ანგარიშებს,

1. იღებს კონვენციის ცვლილებას, რომელიც ერთვის წინამდებარე გადაწყვეტილებას დანართის სახით;
2. მოუწოდებს მხარეებს, მოახდინონ ცვლილების რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება უახლოესი შესაძლებლობისთანავე და გამოიყენონ ის მაქსიმალურად, მის ძალაში შესვლამდე;
3. ასევე მოუწოდებს მხარეებს, რომ განაახლონ მათი მცდელობები გზამკვლევების იმპლემენტაციის მხრივ; და
4. ადგენს, რომ მის მესამე შეხვედრაზე განიხილავს ცვლილების რატიფიცირების, მიღებისა და დამტკიცების და გზამკვლევების იმპლემენტაციის პროგრესს.

დანართი
კონვენციის ცვლილება

მუხლი 6. პუნქტი 11

არსებული ტექსტი შეიცვალოს შემდეგნაირად:

11. მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შეუზღუდავად, წინამდებარე მუხლის დებულებები არ ვრცელდება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ ინტროდუქციასა და საბაზრო ქსელში განთავსებაზე ნებართვის გაცემის ან არ გაცემის შესახებ გადაწყვეტილებებზე.

მუხლი 6 bis

მე-6 მუხლის შემდეგ დაემატოს ახალი მუხლი შემდეგი რედაქციით:

მუხლი 6 bis

საზოგადოების მონაწილეობა გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ ინტროდუქციასა და საბაზრო ქსელში განთავსების შესახებ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით

1. დანართში I bis მოყვანილი მოდალობების თანახმად, თითოეული მხარე უზრუნველყოფს ადრეული და ეფექტური ინფორმაციის მიწოდებას და საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებამდე, ნებადართულ იქნეს თუ არა გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ ინტროდუქცია და საბაზრო ქსელში განთავსება.
2. მხარეთა მიერ ამ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად განსაზღვრული მოთხოვნები უნდა იყოს შემავსებელი და ურთიერთხელშემწყობი მათი ეროვნული ბიოუსაფრთხოების ჩარჩოებისა, ბიოუსაფრთხოების კართახენას ოქმის მიზნების შესაბამისად.

დანართი I bis

დანართი I-ის შემდეგ დაემატოს ახალი დანართი შემდეგი რედაქციით:

დანართი I bis

მე-6 bis მუხლში მოცემული მოდალობები

1. თითოეულ მხარე, იმ გადაწყვეტილებების მიღებისათვის, რომლებიც წარმოადგენს მე-6 bis მუხლის საგანს, მისი მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში განსაზღვრავს ზომებს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მისი ეფექტურად მონაწილეობისათვის, რომელიც უნდა მოიცავდეს გონივრულ ვადებს საზოგადოებისათვის ადექვატური შესაძლებლობის მისაცემად, გამოხატოს მოსაზრება ამ შეთავაზებულ გადაწყვეტილებებზე.

2. მხარეს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, მისი მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში განსაზღვროს გამონაკლისები საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მიმართ, რომელიც მოცემულია ამ დანართში:
 - a) გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) ნებისმიერი მიზნით გარემოში განზრახ ინტროდუქციის შემთხვევაში, გარდა საბაზრო ქსელში განთავსებისა, თუ:
 - i. მსგავსი ბიო-გეოგრაფიული პირობების შემთხვევაში, ასეთი ინტროდუქცია უკვე იყო მიღებული შესაბამისი მხარის მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში; და
 - ii. უკვე საკმარისი გამოცდილება იქნა მიღებული მოცემული გმო-ს მსგავს ეკოსისტემებში ინტროდუქციისას;
 - b) გმო-ს საბაზრო ქსელში განთავსების შემთხვევაში, თუ:
 - i. შესაბამისი მხარის მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში ის უკვე იყო მიღებული; ან
 - ii. ის განსაზღვრულია კვლევის მიზნებისა ან კულტურების შეგროვებისათვის.
3. მე-4 მუხლის დებულებების თანახმად კონფიდენციალურობის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის შეუზღუდავად, თითოეული მხარე, მისი ეროვნული ბიოუსაფრთხოების ჩარჩოს ფარგლებში, საზოგადოებისათვის ადეკვატური, დროული და ეფექტური ზომებით, ხელმისაწვდომს გახდის მის ტერიტორიაზე გმო-ს გარემოში განზრახ ინტროდუქციის ან საბაზრო ქსელში განთავსებისათვის ნებართვის მისაღებად წარდგენილი შეტყობინების რეზიუმეს და ასევე, სადაც შესაძლებელია, შეფასების ანგარიშს.
4. მხარეები, არანაირ შემთხვევაში არ განიხილავენ ქვემოთ ინფორმაციას, როგორც კონფიდენციალურს:
 - a) შესაბამისი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმის ან ორგანიზმების ძირითად აღწერილობას, განზრახ ინტროდუქციისათვის ნებართვის მაძიებლის სახელსა და მისამართს, გამოყენებისა და, საჭიროების შემთხვევაში, ინტროდუქციის ადგილს;
 - b) გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმის ან ორგანიზმების მონიტორინგისა და სწრაფი რეაგირების მეთოდებს და გეგმებს;
 - c) გარემოსდაცვითი რისკების შეფასებას.
5. თითოეული მხარე უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გამჭვირვალობასა და შესაბამის პროცედურულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. მაგალითად, ეს ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს:

- i. შესაძლო გადაწყვეტილებების ბუნებას;
 - ii. გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფო უწყებას;
 - iii. საზოგადოების მონაწილეობისათვის ღონისძიებებს, როგორც ეს განსაზღვრულია 1-ელ მუხლში;
 - iv. მითითებას სახელმწიფო უწყებაზე, რომლისგანაც შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება;
 - v. მითითებას სახელმწიფო უწყებაზე, რომლისთვისაც შესაძლებელია კომენტარების წარდგენა და კომენტარების მიწოდების დროის გრაფიკზე.
6. 1-ლი მუხლის შესაბამისად განსაზღვრული დებულებები უფლებას აძლევს საზოგადოებას, რომ ნებისმიერი შესაბამისი ფორმით განახორციელოს ნებისმიერი კომენტარის, ინფორმაციის, ანალიზის და მოსაზრების წარდგენა, რომელსაც ის მართებულად მიიჩნევს წარმოდგენილი განზრახ ინტროდუქციის მიმართ, საბაზრო ქსელში განთავსების ჩათვლით.
7. თითოეული მხარე შეეცდება უზრუნველყოს, რომ ნებართვასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც ეხება გმო-ს განზრახ ინტროდუქციას, საბაზრო ქსელში განთავსების ჩათვლით, სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული 1-ლი მუხლის თანახმად ორგანიზებული საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის შედეგები.
8. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ, როდესაც ამ დანართის დებულებების პირობების თანახმად სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი ამ გადაწყვეტილების ტექსტი იმ მიზეზებსა და განხილვებთან ერთად, რომლებსაც ის ეყრდნობა.